ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (აფხაზურენოვანთათვის/აზერბაიჯანულენოვანთათვის/სომხურენოვანთათვის/ოსურენოვანთათვის)

## ივანე ჯავახიშვილის სახ.თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

04.11.2019 წელი

06.12.2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | საჯარო სამართლის იურიდიული პირი- ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204864548 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (აფხაზურენოვანთათვის / აზერბაიჯანულენოვანთათვის / სომხურენოვანთათვის / ოსურენოვანთათვის |
| განათლების საფეხური | - |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | - |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 60 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | - |

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მიხეილ გიორგაძე , ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თინათინ კილურაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება 2011 წლიდან აკედიტებულ რეჟიმში. პროგრამა წარმოდგენილია რეაკრედიტაციისთვის. პროგრამის მიზანი მოიცავს სტუდენტებში ენობრივი კომპეტენციის განვითარებას, რაც წარმოადგენს მათ სასწავლო პროცესსა და სამოქალაქო საზოგადოებაში სრულფასოვნად ინტეგრაციის წინაპირობას. პროგრამის ერთ-ერთ მიზანს

წარმაოდგენს ასევე სტუდნეტებში შესაბამისი სფეროს დარგობრივი საბაზისო
თეორიული ცოდნის გადაცემას.
პროგრამაზე სწავლების ხანგრძლივობა ორი სემესტრია და მოცავს 60 ECTS კრედიტს.
რეაკრედიტააციისთვის განახლებულ პროგრამაში მნიშვნელოვანი ცვლილება შეეხო
დიფერენცირებული სტრუქტურის ჩამოყალიბებას, რომლის საშუალებითაც
შესაძლებელი გახდა სტუდენტის ენის ფლობის დონის გათვალისწინება. კერძოდ,
პროგრამა ითვალისწინებს ორ სხვადასხვა ბლოკს სტუდენტების ენობრივი დონის
შესაბამისად. სწავლის დაწყებამდე სტუდენტი გაივლის პრეტესტს და მისი ენობრივი
კომპეტენციის მიხედვით განაგრძობს სწავლას შესაბამისი დონიდან.
განახლებული პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულია არჩევითი კურსებიც, რაც ასევე
სიახლეს წარმოადგენს.
პირველ სემესტრში შეთავაზებული კურსები წარმოდგენილია ორ ბლოკად - პირველ
და მეორე ბლოკად. სტუდენტი გადის პირველ ან მეორე ბლოკს. ბლოკებზე
გადანაწილება ხორციელდება ენის ფლობის დამდგენი ტესტის შედეგების
საფუძველზე.
პირველ ბლოკში შემავალი კურსები ისეა აგებული, რომ უზრუნველყოს ამ ბლოკის
სტუდენტთა ენობრივი კომპეტენციების დაახლოება მეორე ბლოკის სტუდენტთა
კომპეტენციებთან პირველი სემესტრის ბოლოს. კერძოდ, დაიმობილი აქვს
გაცილებით მეტი საკონაქტო სააათი. სწავლების მეთოდები და სტრატეგიები ენის
ინტენსიური სწავლების კონტექსტში განიხილება.
მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პირველი ბლოკის სტუდენტებს, ტუტორიუმის
პროგრამის ფარგლებში გაეწევათ დახმარება, რომელიც უკვე ფუნქციონირებს
ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე გაეროს ასოციაციის პროექტის PITA
ფარგლებში. როგორც ინტერვიუებისას დადასტურდა. ტუტორიუმის პროგრამაში
ჩართულები არიან თავად აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულები, რაც
უნივერსიტეტის ერთ-ერთ საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენს.
მეორე სემესტრში შეთავაზებულია კითხვის, წერის, მოსმენა-ლაპარაკის, ლექსიკა და
გრამატიკის, ორთოეპია მართლწერის კომპეტენციების განსავითარებელი კურსები. 5
სავალდებულო სასწავლო კურსია, რომელიც სტუდენტის. დამატებით, პროგრამაში
შეტანილია ინტერკულტურული სწავლების კომპონენტი,
რომელიც წარმოდგენილია კურსის „მრავალფეროვნება და ტოლერანტობა“ სახით.
პროგრამა მოიცავს ასევე არჩევით დარგობრივ კურსებს, რომელიც ემსახურება
სტუდენტების ენობრივ მომაზდებას კონკრეტული დარგის შესაბამისი თეორიული
მაალის ასათვისებლად.

- აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა
  - ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ორ-ვიზიტი გაიმართა 2019 წლის 4 ნოემბერს. ვიზიტი გამართა აკრედიტაციის კაციანმა ჯგუფმა (შემადგენლობა იხ. გვ.2-ზე). ვიზიტს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მხრიდან კოორდინირებას უწევდა ნინო შიოშვილი. უნივერსიტეტში სამუშაო პროცესი დატვირთული სამუშაო დღის რეჟიმში წარიმართა. უნივერსიტეტის წარმომადგენლები ხელს გვიწყობდნენ მუშაობაში. დღის წესრიგით დაგეგმილი ყველა შეხვედრა შედგა და მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საგანამანათლებლო პროგრამა ხუთივე სტანდარდტთან მიმართებით შეფასებულია როგორც „შესაბამისობაში მოთხოვნებთან".

უნდა აღინიშნოს, რომ ივანე ჯავახისვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის ისეთი შიდა მექამიზმები, რომელიც უზრუნველყოფს, პროგრამის განვითარებას და მის გაუმჯობესებაზე მუდმივ ზრუნვას.

- რეკომენდაციები

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

  - სასურველია, პროგრამის ენობრივი მიზნები (პუნქტები ა, ბ და გ) უფრო კონკრეტულად იყოს ჩამოყალიბებული კონკრეტულ საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებში მისაღწევი ნიშნულების მიხედვით, რათა შედეგები გაზომვადი იყოს;

  - სასურველია, შედეგებში (კერძოდ, ცოდნა/გაცნობიერებასა და უნარებში) მისაღწევი ენობრივი კომპეტენციები განისაზღვროს უფრო დეტალურად, რათა ისინი ზუსტად გაზომვადი იყოს.

  - სასურველია, განისაზღვროს კურსის მანძილზე მისაღწევი კომპეტენციები ესგ ან ქართული ენის ფლობის დონეების აღწერილობის კომპეტენციების მიხედვით და ოთხივე უნარ-ჩვევა თანაბრად ვითარდებოდეს ძირითად კურსებზე. გრამატიკის კურსი შეიძლება ემსახურებოდეს საკუთრივ გრამატიკული ცოდნის განვითარებას, თუმცა აქაც სასურველია გრამატიკული მასალაც კომპეტენციების განვითარებას ემსახურებოდეს და სიტუაციური კონტექტებიდან, სიტუაციური ტექსტებიდან გამომდინარეობდეს. ლექსიკა სასურველია ჩაშენებული იყოს სამეტყველო უნარ-ჩვევების სწავლების კურსებში. სასურველი მეტი ავთენტიკური მასალის, ვიდეოების გამოყენება მასალებში, რეალისტური საკომუნიკაციო სიტუაციების სიმულირება.

  - პრეტესტის მეთოდურად დახვეწა (ენობრივ კომპეტნციებზე აგება და არა მხოლოდ ლექსიკურ-გრამატიკული ცოდნის გადამოწმება), ჰომოგენური ჯგუფების გამოვლენის მიზნით;

  - ცალკეული ცდომილების გამოსასწორებლად ლექტორთა მიერ სასწავლო პროცესში სტუდენტებზე მაქსიმუმ 2-კვირიანი დაკვირვების შედეგედების გამოყენება ჯგუფების უფრო ჰომოგენურად დაკომპლექტების მიზნით.

  - იმისთვის, რომ სტუდენტების მიერ მიღწეული შედეგები ასახავდეს კურსის მიზნებს, საჭიროა შეფასების კომპონენტების მისადაგება ენის კურსის ფორმატისთვის. სასურველია, რომ საბოლოო გამოცდის წილი შემცირდეს, შუალედური შეფასებების რაოდენობა გაიზარდოს და გამრავალფეროვნეს და ასევე, დაწესდეს მინიმალური ზღვარი ცალკეულ ან ყველა შუალედურ კომპონენტში ცალ-ცალკე, რათა გამოირიცხოს ქულების მცირე რაოდენობით (არსებული 51 ქულა) კრედიტის მიღების ალბათობა და სტუდენტის ენობრივი კომპეტენციები მუდმივად მოწმდებოდეს მთელი სემესტრის განმავლობაში, რაც აუცილებელი წინაპირობაა ენის ათვისებისთვის თეორიული კურსებისგან განსხვავებით.

- სასურველია, სილაბუსებსა და პროგრამაში აღწერილი მეთოდები რეალურად იყოს გამოყენებული ყველა ლექტორის მიერ, რათა სწავლების პროცესი უფრო ინტერაქტიული და შედეგიანი გახდეს. ვინაიდან სხვადასხვა ლექტორს სხვდასხვა კომპეტენცია აქვს, სასურველია ერთიანი კომპეტენციების შეძენის მიზნით კონკრეტულ მიდგომებზე პროგრამის ყველა მონაწილე ლექოტრისთვის ტრენინგების ჩატარება და შემდეგ პროცესის მონიტორინგი ტრენინგზე მიწოდებული ცოდნისა და კომპეტენციების ლექციებზე გამოყენების უზრუნველსაყოფად.

- სასურველია, შუალედური შეფასების კომპონენტები უფრო გამრავალფეროვნდეს, ჩაშენდეგ მინიმალური ბარიერები თითოეულ ან ცალკეულ მათგანში, საბოლოო გამოცდის წილი შემცირდეს.
- აუცილებელია, სტუდენტებს მიეცეთ რეგულარული განმავითარებელი შეფასება და უკუკავშირი საგამოცდო/შუალედურ შეფასებებზე, რომ სტუდენტებმა იცოდნენ, თუ რაში აქვთ ხარვეზი და რაზე უნდა იმუშაონ ინტენსიურად.
- სასურველია, დაიგეგმოს ლექტორების პროფესიული განვითარება შეფასების მეთოდებისა და სტრატეგიების მიამრთულებით

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
  - ღირებულ პრაქტიკას წარმოადგენს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა ამავე პროგრამის სტუდენტების კონსულტირების პროცესში ჩართვა - ე.წ. ტუტორიუმის პროგრამა;
  - მოწვეულ პერსონალს შორის არიან პრაქტიკული გამოცდილების მქონე მასწავლებლები, რომლთაც აქვთ უშუალოდ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის სწავლების გამოცდილება სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს ქვეყნისა და საზოგადოების განვითარებაში. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (აფხაზურენოვანთათვის / აზერბაიჯანულენოვანთათვის / სომხურენოვანთათვის / ოსურენოვანთათვის) მიზანია, საქართველოს იმ მოქალაქეებისთვის, ვინც დაამთავრა არაქართულენოვანი სახელმწიფო სკოლა, მისცეს საშუალება, ერთი წლის მანძილზე ისწავლოს ქართული იმ დონეზე, რომ შეძლოს სასურველ პროგრამაზე საბაკალავრო საფეხურზე სწავლის გაგრძელება და ჰქონდეს უნარი დამოუკიდებლად გაიღრმავოს ცოდნა ქართულ ენაში საბაკალავრო საფეხურზე სწავლისას (სწავლის სწავლა). დამატებით, პროგრამა შეიცავს ინტერკულტურული სწავლის კომპონენტს და დარგობრივი ენის კურსებს, რომელთა მეშვეობით სტუდენტი ენობრივი ცოდნის გაღრმავების გარდა, უკეთ ეცნობა კონკრეტულ დარგს, რომელზეც სურს სწავლის გაგრძელება საბაკალავრო საფეხურზე. მოცემული მიზნები ოთხ ძირითად მიმართულებად არის ჩამოყალიბებული:

1. წარმატებული კომუნიკაცია ქართულ ენაზე;
2. სხვადასხვა მიზნით, სხვადასხვა აუდიტორიისათვის, სხვადასხვა ტიპის (როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი) ტექსტების ადეკვატურად გაგება და შექმნა (ტექსტის სტრუქტურაში გარკვევა და მის ნაწილებს შორის კავშირის გააზრება);
3. ქართული ენის ცოდნისა და უნარების შემდგომი გაღრმავება და გამდიდრება დამოუკიდებლად;
4. ქართული ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობისა და ღირებულებების გაცნობა, დაფასება და პატივისცემა; დაკისრებული მოვალეობებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა.

სასურველია, პროგრამის ენობრივი მიზნები (პუნქტები ა, ბ და გ) უფრო კონკრეტულად იყოს ჩამოყალიბებული კონკრეტულ საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებში მისაღწევი ნიშნულების მიხედვით, რათა შედეგები გაზომვადი იყოს. კერძოდ:

- "წარმატებული კომუნიკაცია ქართულ ენაზე" - დასაზუსტებელია ასეთი წარმატებული კომუნიკაციის ინდიკატორები. შედეგების აღწერილობაში მოცემული პუნქტები აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა ენის რეალურად გამოყენებისთვის: მაგ. "ფლობს ქართული ენის საბაზისო ლექსიკურ მარაგს; პრაქტიკულად იყენებს ქართულ ენას საკომუნიკაციო და აკადემიური მიზნებისათვის." დასაზუსტებელია ის კონკრეტული კომპეტენციები, რომლებიც შესაძლებელს ხდის მოცემული მიზნების მიღწევას.

- "სხვადასხვა მიზნით, სხვადასხვა აუდიტორიისათვის, სხვადასხვა ტიპის (როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი) ტექსტების ადეკვატურად გაგება და შექმნა (ტექსტის სტრუქტურაში გარკვევა და მის ნაწილებს შორის კავშირის გააზრება);" - ვინაიდან პროგრამას აქვს კონკრეტული მიზანი, საბაკალავრო საფეხურზე სწავლისთვის სტუდენტების ენობრივად მომზადება, აქაც საჭიროა კონკრეტული ინდიკატორების შემუშავება, გაზომვადი შედეგების / ენობრივი კომპეტენციების განსასაზღვრად.
- ქართული ენის ცოდნისა და უნარების შემდგომი გაღრმავება და გამდიდრება დამოუკიდებლად. სასურველია, გაზომვადი ინდიკატორების შემუშავება: ენობრივი კომპეტენციების დამოუკიდებლად განვითარება რა მიზნით, რა მიმართულებით და რა სიღრმით.
- ქართული ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობისა და ღირებულებების გაცნობა, დაფასება და პატივისცემა; დაკისრებული მოვალეობებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა.

პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს და მისი ხანგრძლივობა არის 1 წელი, რაც საკმარისია საშუალო და მაღალი ენობრივი ცოდნის მქონე სტუდენტებისთვის პროგრამის მიზნის მისაღწევად, თუმცა.

პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადების მხრივ: ვინაიდან ამ პროგრამის მონაწილე კონტინგენტში მწვავედ დგას სახელმწიფო ენის არცოდნის პრობლემა, უნივერსიტეტი სთავაზობს მათ ერთწლიან მოსამზადებელ პროგრამას, რათა მიეცეთ საშუალება, პროგრამის წარჩინებით დამთავრების შემთხვევაში, ისწავლონ საბაკალავრო საფეხურზე და ისეთივე კონკურენტუნარიანნი იყვნენ, როგორც მათი ქართველი თანამოქალაქეები.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია ფაკულტეტის ძირითად ამოცანებთან და სტრატეგიულ ხედვასთან, უზრუნველყოს თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი განათლების მიღების შესაძლებლობა, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია;
- პროგრამის აღწერა;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

| |
|---|
| სასურველია, პროგრამის ენობრივი მიზნები (პუნქტები ა, ბ და გ) უფრო კონკრეტულად იყოს ჩამოყალიბებული კონკრეტულ საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებში მისაღწევი ნიშნულების მიხედვით, რათა შედეგები გაზომვადი იყოს. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები |
| ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;<br>➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;<br>➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>მოცემული პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს. პროგრამის აღწერილობაში ნათლად და დეტალურად არის მოცემული ის ცოდნა და უნარები, რომლებიც უნდა შეიძინოს სტუდენტმა პროგრამაზე სწავლის მანძილზე:<br><br>სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (აფხაზურენოვანთათვის / აზერბაიჯანულენოვანთათვის / სომხურენოვანთათვის / ოსურენოვანთათვის) სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შეესაბამება პროგრამის მიზნებს ოთხი ძირითადი მიმართულებით, თუმცა, ისევე, როგორც მიზნებს, შედეგებშიც (კერძოდ, ცოდნა/გაცნობიერებასა და უნარებში) სასურველია, მისაღწევი ენობრივი კომპეტენციების უფრო დეტალურად განსაზღვრა, რათა ისინი ზუსტად გაზომვადი იყოს. |

პროგრამაში გათვალისწინებულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრული პრინციპით, ღიად, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით. სწავლის შედეგების შეფასება ხდება ცალკეული კომპონენტების მეშვეობით, რომელიც მისდევს უნივერსიტეტის მიერ დადგენილ სქემას.

სწავლის შედგების შეფასებისთვის გამოიყენება სასწავლო კურსები და სწავლის კონკრეტული შედეგის შესაბამისი შეფასების კომპონენტი. სამიზნე ნიშნულებად აღებულია სტუდენტთა სწავლის შედეგები / შეფასება.

სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება პერმანენტულად, სწავლის შედეგის შეფასებისთვის განსაზღვრული კურსის დასრულების შემდეგ. თითოეული სწავლის შედეგის შეფასებისა და ანალიზისთვის განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი.

გარდა ამისა, პროგრამის ხელმძღვანელი ყოველი სემესტრის ბოლოს აგროვებს ლექტორებისგან მონაცემებს თითოეული კურსის შეფასების ფორმებზე და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად აწარმოებს რეგულარულ მონიტორინგს სწავლის შედეგების ანალიზისა და შეფასების სახით, რაც გამოიყენება პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;
- ინტერვიუს შედეგები.
- პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის ოქმები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია, შედეგებში (კერძოდ, ცოდნა/გაცნობიერებასა და უნარებში) მისაღწევი ენობრივი კომპეტენციები განისაზღვროს უფრო დეტალურად, რათა ისინი ზუსტად გაზომვადი იყოს.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

| |
|---|
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| შეფასება<br>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ლად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| |
|---|
| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |

| |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>მოცემულ პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას წარმოადგენს ერთიან ეროვნულ გამოცდებში მშობლიურ ენაზე (აზერბაიჯანულ, სომხურ, ოსურ და აფხაზურ ენებზე) ზოგად უნარებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა. შესაბამისად, უსდ არ არის უფლებამოსილი დააწესოს ჩარიცხვის დამატებითი წინაპირობა ამ პროგრამაზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• საგანმანათლებლო პროგრამა;<br>• ინტერვიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:**<br>• წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სანიმუშო ნიმუშად ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o |
| **შეფასება**<br>o კომენტარი, შეფასებული პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სსიპ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2011 წელს. პროგრამა წარმატებით ხორციელდებოდა. პროგრამის კურსდამთავრებულთა უმრავლესობა, როგორც წესი, სწავლას აგრძელებს ამავე უნივერსიტეტის სხვადასხვა საბაკალავრო პროგრამაზე.

განმეორებითი აკრედიტაციისათვის 2019 წელს პროგრამა განახლდა. პროგრამის განახლების პროცესში ჩართული იყო ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტი და მიღებულ იქნა მონაწილე პირების მოსაზრებები და შენიშვნები.

ძირითადი ცვლილება ეხება დიფერენცირებული სასწავლო გეგმის შექმნას. კერძოდ, პრეტესტის საფუძველზე ხდება სტუდენტების განაწილება ორ კატეგორიად და ორი სხვადასხვა სასწავლო პროგრამით სწავლება პირველ სემესტრში. დაემატა არჩევითი საგნები. სილაბუსები განახლდა ახალი ლიტერატურით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია პრეტესტი, რომლის წინასწარ დადგენილი შედეგები წარმოადგენს სტუდენტების A და B ჯგუფებში გადანაწილებისთვის წინაპირობას. ჯგუფებში საბოლოოდ განაწილების წინაპირობას წარმოადგენს ადმინისტრაციის წარმომადგენელთან ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დროს ფორმალური ვიზიტისას გასაუბრების შედეგი, რომელიც ადმინისტრაციული საკითხის მოგვარების თანმდევი მოვლენაა და არა სპეციალისტის მიერ სტუდენტის ენის ფლობის დონის შეფასება.

მოცემული პროცედურა საჭიროებს დახვეწას: თუ პრეტესტი არ იძლევა სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის განსაზღვრის საშუალებას ჰომოგენური ჯგუფების დაკომპლექტებისთვის, აუცილებელია თვით პრეტესტი გადაიხედოს მეთოდურად და დაიხვეწოს, ხოლო იშვიათი გამონაკლისი შემთხვევა, რომელმაც დახვეწილი პრეტესტის შედეგადაც შეიძლება იჩინოს თავი, შესაძლოა გამოსწორდეს სათანადო კომპეტენციის მქონე კურსის მთავარი/წამყვანი ლექტორის ან ლექტორთა ჯგუფის მიერ სტუდენტზე დაკვირვების შედეგად სწავლის დაწყებიდან მაქსიმუმ 2 კვირის მანძილზე, რაც იქნება სტუდენტის ენობრივად უფრო შესაფერის ჯგუფში გადაყვანის საფუძველი.

ვინაიდან სტუდენტების ცოდნა საწყის ეტაპზე ძალიან განსხვავებულია, გარდა A და B კატეგორიებისა, სასურველია თითოეული კატეგორიის შეგნით უფრო მეტი დიფერენცირება ჰომოგენური ჯგუფების შექმნის მიზნით, რათა სასწავლო პროცესი კიდევ უფრო მეტად იყოს მორგებული ცალკეული ჯგუფების საჭიროებებს.

პროგრამა დარჩა კვლავინდებურად 60-კრედიტიანი. კრედიტები განაწილებულია ორ სემესტრზე. პროგრამა შედგება 27 სილაბუსისგან. პირველ სემესტრში სტუდენტები გაივლიან 6 ხუთკრედიტიან სასწავლო კურსს (თითოეული კურსი წარმოდგენილია 2

ვერსიად: პირველი და მეორე ბლოკის კურსები. ბლოკებში გადანაწილება ხორციელდება პრეტესტის შედეგების საფუძველზე — შემსწავლელის საწყისი ენობრივი კომპეტენციების მიხედვით განისაზღვრება, თუ რომელ ბლოკს აირჩევს სტუდენტი.

პირველ ბლოკზე სწავლება ხორციელდება მეტი საკონტაქტო საათის საფუძველზე (პირველი ბლოკი ინტენსიური სწავლების სტრატეგიითაა აგებული და უზრუნველყოფს ამ ბლოკის სტუდენტთა ენობრივი კომპეტენციების დაახლოებას მეორე ბლოკის სტუდენტთა კომპეტენციებთან პირველი სემესტრის ბოლოს.

მეორე სემესტრში ერთიანი სასწავლო გეგმის საფუძველზე სტუდენტები გაივლიან 5 სავალდებულო და ერთ სავალდებულო-არჩევით სასწავლო კურსს, რომელიც შემსწავლელის ენობრივი კომპეტენციების სხვადასხვა მიმართულების განვითარებას ემსახურება (კითხვა, წერა, მოსმენა-ლაპარაკი, ლექსიკა და გრამატიკა, ორთოეპია-ორთოგრაფია). დამატებით, პროგრამაში შეტანილია ინტერკულტურული სწავლების კომპონენტი კურსის "მრავალფეროვნება და ტოლერანტობა" სახით, რომელიც ეფუძნება ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების პრინციპებს.

ამავე სემესტრში პილოტირების შედეგად დაემატა 11 არჩევითი დარგობრივი კურსი. ეს არჩევითი კურსები შეიქმნა სტუდენტთა მომავალი პროფესიული არჩევანის გათვალისწინებით და გულისხმობს იმ ტერმინოლოგიის, დარგობრივი ლექსიკისა და სპეციფიკური კონსტრუქციების სწავლებას, რომლებიც ამა თუ იმ დარგობრივი მიმართულებისთვისაა დამახასიათებელი (ფილოლოგია, ისტორია, მათემატიკა, სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერებები, სამართალი, მედიცინა და სხვა).

ქართულ ენაში მომზადების პროგრამის კურსდამთავრებულებს არ ენიჭებათ აკადემიური ხარისხი; ამ პროგრამის კურსდამთავრებულს გაეცემათ ქართული ენის ფლობის შესაბამისი დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი - დოკუმენტი, რომელიც პირს ანიჭებს ნებისმიერ ქართულენოვან საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუების შედეგები

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- პრეტესტის მეთოდურად დახვეწა (ენობრივ კომპეტენციებზე აგება და არა მხოლოდ ლექსიკურ-გრამატიკული ცოდნის გადამოწმება), ჰომოგენური ჯგუფების გამოვლენის მიზნით.

ცალკეული ცდომილების გამოსასწორებლად ლექტორთა მიერ სასწავლო პროცესში სტუდენტებზე მაქსიმუმ 2-კვირიანი დაკვირვების შედეგედების გამოყენება ჯგუფების უფრო ჰომოგენურად დაკომპლექტების მიზნით.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

- ველი, შეავსეთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა შედგება შემდეგი სასწავლო კურსებისაგან:

პირველი სემესტრი, პირველი ბლოკი (1.1) და მეორე ბლოკი (1.2):

- სამეტყველო უნარები, ლაპარაკი 1.1/1.2 - 5 კრ.
- სამეტყველო უნარები, მოსმენა 1.1/1.2 - 5 კრ.
- სამეტყველო უნარები, წერა 1.1/1.2 - 5 კრ.
- სამეტყველო უნარები, კითხვა 1.1/1.2 - 5 კრ.
- ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები 1.1/1.2 - 5 კრ
- ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 1.1/1.2 - 5 კრ

მეორე სემესტრი: სავალდებულო კურსები:

- ქართული ენის პრაქტიკული გრამაიკა 2 - 5 კრ.
- ქართული ენის მართლწერა და ორთოეპია - 5 კრ.
- ფუნქციური წერა - 5 კრ.
- ზეპირმეტყველების სტრატეგიები - 5 კრ.
- მრავალფეროვნება და ტოლერანტობა (ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება) - 5 კრ.

არჩევითი კურსები: წარმოდგენილია ენისა და საგნის მეთოდოლოგიით შედგენილი 10 არჩევითი კურსი შემდეგ დარგებში: ფილოლოგია, სამართალი, ბიზნესი- ეკონომიკა, მედიცინა-ბიოლოგია, მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ფსიქოლოგია-განათლება, სოციოლოგია-პოლიტოლოგია,სამოქალაქო განათლება, ქართული კინოს სამტყველო ენა.

აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია თანამედროვე რეგულაციებთან, საგანმანათლებლო და ნორმატიულ დოკუმენტებთან, მათ შორის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 2019 წელს დარგის ექსპერტებთან ერთობლივად შემუშავებული ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლებთან.

სილაბუსებში მითითებული თემები და სასწავლო მასალა არის მეტ-ნაკლებად ეფუძნება ქართულის, როგორც მეორე ენის მეთოდებს და მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს პროგრამის შედეგების მიღწევას.

სწავლების თანამედროვე მეთოდები ითვალისწინებს სამეტყველო უნარ-ჩვევების ინტეგრირებულად სწავლებას და არა იზოლირებულად წერას, კითხვა და მისთ. შესაბამისად, სასურველია, განისაზღვროს კურსის მანძილზე მისაღწევი კომპეტენციები ესე ან ქართული ენის ფლობის დონეების აღწერილობის კომპეტენციების მიხედვით და ოთხივე უნარ-ჩვევა თანაბრად ვითარდებოდეს ძირითად კურსებზე. გრამატიკის კურსი შეიძლება ემსახურებოდეს საკუთრივ გრამატიკული ცოდნის განვითარებას, თუმცა აქაც სასურველია გრამატიკული მასალაც კომპეტენციების განვითარებას ემსახურებოდეს და სიტუაციური კონტექსტებიდან, სიტუაციური ტექსტებიდან გამომდინარეობდეს. ლექსიკა სასურველია ჩაშენებული იყოს სამეტყველო უნარ-ჩვევების სწავლების კურსებში. სასურველი მეტი ავთენტიკური მასალის, ვიდეოების გამოყენება მასალებში, რეალისტური საკომუნიკაციო სიტუაციების სიმულირება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში;
- ლექტორებთან ინტერვიუს შედეგები.
- კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უნდა განხორციელდეს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, განისაზღვროს კურსის მანძილზე მისაღწევი კომპეტენციები ესგ ან ქართული ენის ფლობის დონეების აღწერილობის კომპეტენციების მიხედვით და ოთხივე უნარ-ჩვევა თანაბრად ვითარდებოდეს ძირითად კურსებზე. გრამატიკის კურსი შეიძლება ემსახურებოდეს საკუთრივ გრამატიკული ცოდნის განვითარებას, თუმცა აქაც სასურველია გრამატიკული მასალაც კომპეტენციების განვითარებას ემსახურებოდეს და სიტუაციური კონტექსტებიდან, სიტუაციური ტექსტებიდან გამომდინარეობდეს. ლექსიკა სასურველია ჩაშენებული იყოს სამეტყველო უნარ-ჩვევების სწავლების კურსებში. სასურველი მეტი ავთენტიკური მასალის, ვიდეოების გამოყენება მასალებში, რეალისტური საკომუნიკაციო სიტუაციების სიმულირება.

- იმისთვის, რომ სტუდენტების მიერ მიღწეული შედეგები ასახავდეს კურსის მიზნებს, საჭიროა შეფასების კომპონენტების მისადაგება ენის კურსის ფორმატისთვის. სასურველია, რომ საბოლოო გამოცდის წილი შემცირდეს, შუალედური შეფასებების რაოდენობა გაიზარდოს და გამრავალფეროვნდეს და ასევე, დაწესდეს მინიმალური ზღვარი ცალკეულ ან ყველა შუალედურ კომპონენტში ცალ-ცალკე, რათა გამოირიცხოს ქულების მცირე რაოდენობით (არსებული 51 ქულა) კრედიტის მიღების ალბათობა და სტუდენტის ენობრივი კომპეტენციები მუდმივად მოწმდებოდეს მთელი სემესტრის განმავლობაში, რაც აუცილებელი წინაპირობაა ენის ათვისებისთვის თეორიული კურსებისგან განსხვავებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს ნიმუში დანერგილი ან მისაღები სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- ○

შეფასება

- ○ ჯამური შეფასებით პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

| |
|---|
| 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება |
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამის სტუდენტებისთვის საგანგებოდ შეიქმნა ტუტორიუმის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება არა მხოლოდ აკადემიური დახმარება, არამედ, სხვადასხვა ტიპის პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობა სამოქალქო ინტეგრაციისა და პრაქტიკული უნარების განვითარების მიმართულებით (გაეროს ასოციაციის პროგრამა PITA, რომელიც ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება 2015 წლიდან).<br><br>თსუ მე-7 კორპუსში ფუნქციონირებს „თსუ ახალგაზრდული ცენტრი", რომელიც არაქართულენოვანი სტუდენტების აკადემიური და სოციოკულტურული მხარდაჭერის მიზნით შეიქმნა (გაეროს ასოციაციისა და USAID-ის პროექტის PITA ფარგლებში);<br><br>კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის საშუალებით სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში მათი ნიჭისა და სურვილის გათვალისწინებით. აღნიშნული დეპარტამენტის ბაზაზე ფუნქციონირებს: ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „უნივერსიტეტი", ქორეოგრაფიული ანსამბლი „უნივერსიტეტი", გოგონათა ტრადიციული მუსიკის ანსამბლი „თსუ გორდელა", სტუდენტური თეატრი „სხვენი", მან-სან-კან, კალათბურთის, მინი-ფეხბურთის, ათლეტიზმის, ფრენბურთის, მშვილდოსნობის გუნდები, გ. ნიკოლაძის სახელობის ალპინიზმის კლუბი და სხვა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• თვითშეფასების ანგარიში;<br>• ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>რეკომენდაცია(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის განსაკუთრებით წარმატებული და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიმუში ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |

○

**შეფასება**

● გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

როგორც თვითშეფასების ფორმასა და სილაბუსებში მითითებული, პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა კურსები ითვალისწინებს სხვადასხვა ფორმატისა და მიდგომების გამოყენებას სასწავლო პროცესში: ლექცია, სამუშაო ჯგუფი, პრაქტიკული მეცადინეობა, საშინაო დავალება, პრეზენტაცია, თარგმანი, საკონტროლო წერა, დასკვნითი გამოცდა. გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი და აქტივობები (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ჯგუფური მუშაობა, ევრისტიკული მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშები, დისკუსია/დებატები, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, წერითი დავალებები, მოდელირებული სიტუაციების განხილვა და სხვა).
მიუხედავად ამისა, სტუდენტებთან გასაუბრების დროს გამოითქვა სურვილი, ლექციებზე მეტი ყურადღება დაეთმოს ინტერაქციას, ჯგუფურ მუშაობას, პრეზენტაციების მომზადებას, დისკუსიებს სტუდენტებს შორის, რათა მათ შეძლონ ენის რეალურად გამოყენება ნებისმიერ საკომუნიკაციო სიტუაციაში, როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით. მათი თქმით, ლექსების დაზეპირებად შუალედური გამოცდებისთვის არანაირი სარგებლის მომტანი არ არის მათთვის. მათვე აღნიშნეს, რომ პროგრამის ლექტორების ლექციები ცალკეულ შემთხვევებში ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან მეთოდურად და ინტერაქციის ხარისხითაც.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის აღწერილობა;
- სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები ლექტორებთან;
- სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც [illegible] უნდა [illegible] რომ პროგრამამ [illegible] სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია, სილაბუსებსა და პროგრამაში აღწერილი მეთოდები რეალურად იყოს გამოყენებული ყველა ლექტორის მიერ, რათა სწავლების პროცესი უფრო ინტერაქტიული და შედეგიანი გახდეს. ვინაიდან სხვადასხვა ლექტორს სხვადასხვა კომპეტენცია აქვს, სასურველია ერთიანი კომპეტენციების შეძენის შიზნით კონკრეტულ მიდგომებზე პროგრამის ყველა მონაწილე ლექტორისთვის ტრენინგების ჩატარება და შემდეგ პროცესის მონიტორინგი ტრენინგზე მიწოდებული ცოდნისა და კომპეტენციების ლექციებზე გამოყენების უზრუნველსაყოფად.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც [illegible] და რომელიც შეიძლება გახდეს [illegible] [illegible] სხვა [illegible] პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები [illegible] პროგრამაში [illegible] [illegible] (მხოლოდ [illegible])
- 

**შეფასება**

- [illegible] კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სტუდენტთა შეფასება მიმდინარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ ბრძანების შესაბამისად და ვრცელდება ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებზე.

| |
|---|
| სასწავლო კურსის შეფასება ორი სახისაა: შუალედური და დასკვნითი. შეფასების საერთო მაქსიმალური 100 ქულიდან შუალედური შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს ჯამურად მაქსიმუმ 60 ქულას, რომელშიც მოიაზრება მრავალჯერადი შეფასება. შუალედური შეფასებების კომპონენტში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს მინიმუმ 11 ქულას 60 ქულიდან, რაც ასევე არის დასკვნით შეფასებაზე დაშვების ერთ-ერთი წინაპირობაც. დასკვნითი შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს მაქსიმუმ 40 ქულას. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს დასკვნითი შეფასების საერთო ჯამის 50%, რაც შეადგენს 20 ქულას. დასკვნითი შეფასება შეიძლება იყოს წერითი ან კომბინირებული. წერითი ფორმის დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 20 ქულა, ხოლო კომბინირებული დასკვნითი შეფასების შემთხვევაში 40 ქულიანი შეფასება იყოფა ორ ნაწილად (20 წერითი+20 ზეპირი), და თითოეულ კომპონენტში სტუდენტმა უნდა გადალახოს დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 50 %- მინიმუმ 10 ქულა 20 ქულიდან. ქულების განაწილება შეიძლება იყოს განსხვავებული უცხო ენების სილაბუსში სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე.<br><br>სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი ნაკლებად იღებენ განმავითარებელ შეფასებას და თვით საგამოცდო ნაწერებშიც არ იციან ხშირ შემთხვევაში, თუ რა ხარვეზები აქვთ და როგორ გამოასწორონ, რაზე უნდა იმუშაონ შემდგომში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ თვითშეფასების ანგარიში;<br>○ პროგრამის აღწერილობა;<br>○ სილაბუსები;<br>○ ინტერვიუს შედეგები ლექტორებთან.<br>○ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უნდა იქნეს გათვალისწინებული იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>• სასურველია, შუალედური შეფასების კომპონენტები უფრო გამრავალფეროვნდეს, ჩაშენდეს მინიმალური ბარიერები თითოეულ ან ცალკეულ მათგანში, საბოლოო გამოცდის წილი შემცირდეს.<br>• აუცილებელია, სტუდენტებს მიეცეთ რეგულარული განმავითარებელი შეფასება და უკუკავშირი საგამოცდო/შუალედურ შეფასებებზე, რომ სტუდენტებმა იცოდნენ, თუ რაში აქვთ ხარვეზი და რაზე უნდა იმუშაონ ინტენსიურად.<br>• სასურველია, დაიგეგმოს ლექტორების პროფესიული განვითარება შეფასების მეთოდებისა და სტრატეგიების მიმართულებით. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის განსაკუთრებით ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიმუში ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისთვის |

| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
|---|
| ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | …მისობაშია მოთხოვნებთან | …ლად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | …ობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | …არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | X | | | |

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>უნივერსიტეტი ახალჩარიცხული სტუდენტებისთვის პროგრამის შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად იყენებს უნივერსიტეტის ვებგვერდს. ვებგვერდზე განთავსებულია |

კურიკულუმის აღწერა, სასწავლო კურსების სემესტრული ბადე და სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებული სხვა საჭირო ინფორმაცია.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ასევე დაუკავშირდნენ პროგრამის ხელმძღვანელს და მასთან გაიარონ ინდივიდუალური კონსულტაცია. პროგრამის ხელმძღვანელის საკონტაქტო ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველასთვის და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ სტუდენტთა კონსულტირების პროცესში ჩართულნი არიან პროგრამის განხორციელებაში ჩართული ის აკადემიური თუ მოწვეული პერსონალი, რომლებიც თავად წარმოადგენენ ეროვნულ უმცირესობას და სახელმწიფო ენის გარდა, ფლობენ აზერბაიჯანულ, რუსულ ან სომხურ ენებს. მათი დახმარებით პირველ სემესტრში სტუდენტებთან ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები იმართება პროგრამის სამიზნე ჯგუფისთვის სასურველ ენაზე - ქართულ, სომხურ ან აზერბაიჯანულ ენებზე.

გარდა ამისა, პროგრამის განმახორციელებელ ფაკულტეტზე შექმნილია პროგრამის შესახებ საინფორმაციო ბუკლეტი. როგორც ადგილზე დათალიერებისას დადასტურდა, ბუკლეტები შექმნილია როგორც ქართულ, ისე აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე. ღირებულ პრაქტიკას წარმოადგენს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა ამავე პროგრამის სტუდენტების კონსულტირების პროცესში ჩართვა. ე.წ. ტუტორინგი 2015 წლიდან PITA პროგრამის ფარგლებში (გაეროს ასოციაციისა და აშშ განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით) დაინერგა და დღემდე წარმატებით ხორციელდება. როგორც სტუდენტებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, სტუდენტები ენთუზიაზმით ერთვებიან ტუტორინგში. მათ აღნიშნეს, რომ ისინი ახალჩარიცხულ სტუდენტებს ეხმარებიან არა მხოლოდ სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და მასში სრულფასოვნად ჩართვაში, არამედ დავალებების მომზადებაშიც. საჭიროების შემთხვევაში, ლექტორთან შეთანხმებით, ტუტორები დამატებით გაკვეთილებსაც უტარებენ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს. სტუდნეტთა კონსულტირების პროცესში ჩართვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე სწავლობენ. ინტერვიუებისას მათ აღნიშნეს, რომ სტუდენტთა ტუტორინგი მათ პროფესიულ გამოცდილებასაც უკავშირდება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაციის გასავრცელებლად სწავლის დაწყებამდე იმართება საჯარო შეხვედრა, რომელზე დასწრების შესაძლებლობა აქვთ ასევე ქართული ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებსაც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიურ, მოწვეულ, ადმიინსიტრაციულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ აღნიშნული საერთო შეხვედრები იმართება მხოლოდ ქარათულ ენაზე.

კურიკულუმის აღწერა, სასწავლო კურსების სემესტრული ბადე და სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებული სხვა საჭირო ინფორმაცია.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ასევე დაუკავშირდნენ პროგრამის ხელმძღვანელს და მასთან გაიარონ ინდივიდუალური კონსულტაცია. პროგრამის ხელმძღვანელის საკონტაქტო ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველასთვის და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ სტუდენტთა კონსულტირების პროცესში ჩართულები არიან პროგრამის განხორციელებაში ჩართული ის აკადემიური თუ მოწვეული პერსონალი, რომლებიც თავად წარმოადგენენ ეროვნულ უმცირესობას და სახელმწიფო ენის გარდა, ფლობენ აზერბაიჯანულ, რუსულ ან სომხურ ენებს. მათი დახმარებით პირველ სემესტრში სტუდენტებთან ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები იმართება პროგრამის სამიზნე ჯგუფისთვის სასურველ ენაზე - ქართულ, სომხურ ან აზერბაიჯანულ ენებზე.

გარდა ამისა, პროგრამის განმახორციელებელ ფაკულტეტზე შექმნილია პროგრამის შესახებ საინფორმაციო ბუკლეტი. როგორც ადგილზე დათალიერებისას დადასტურდა, ბუკლეტები შექმნილია როგორც ქართულ, ისე აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე. ღირებულ პრაქტიკას წარმოადგენს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა ამავე პროგრამის სტუდენტების კონსულტირების პროცესში ჩართვა. ე.წ. ტუტორინგი 2015 წლიდან PITA პროგრამის ფარგლებში (გაეროს ასოციაციისა და აშშ განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით) დაინერგა და დღემდე წარმატებით ხორციელდება. როგორც სტუდენტებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, სტუდენტები ენთუზიაზმით ერთვებიან ტუტორინგში. მათ აღნიშნეს, რომ ისინი ახალჩარიცხულ სტუდენტებს ეხმარებიან არა მხოლოდ სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და მასში სრულფასოვნად ჩართვაში, არამედ დავალებების მომზადებაშიც. საჭიროების შემთხვევაში, ლექტორთან შეთანხმებით ტუტორები დამატებით გაკვეთილებსაც უტარებენ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს. სტუდნეტთა კონსულტირების პროცესში ჩართვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე სწავლობენ. ინტერვიუებისას მათ აღნიშნეს, რომ სტუდენტთა ტუტორინგი მათ პროფესიულ გამოცდილებასაც უკავშირდება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაციის გასავრცელებლად სწავლის დაწყებამდე იმართება საჯარო შეხვედრა, რომელზე დასწრების შესაძლებლობა აქვთ ასევე ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებსაც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიურ, მოწვეულ, ადმიინსიტრაციულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ აღნიშნული საჯარო შეხვედრები იმართება მხოლოდ ქარათულ ენაზე.

რადგან პროგრამის შესახებ საინფორმაციო საერთო შეხვედრები სწავლის დაწყებამდე იმართება, მნიშვნელოვანია, პროგრამაზე ახლადჩარიცხულ სტუდენტთა პოზიტიური განწყობის შესაქმნელად პროგრამის შესახებ პრეზენტაციები გაიმართოს სხვადასხვა ენაზე )რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ ან სხვ. ენებზე).

სტუდენტების აინფორმაციო მომსახურების პროცეში ჩართულია ასევე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სასწავლო პროცესის მართვის სამსახური.

სტუდენტს შეუძლია, აგრეთვე, აუცილებელი ინფორმაციის, კონსულტაციის და დახმარების მიღება ფაკულტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებიდან და ადმინისტრაციული პერსონალისგან: დეკანი, დეკანის მოადგილეები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, კანცელარია, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური და სხვ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- პროგრამის შესახებ საინფორმაციო ბუკლეტები;
- ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები.
- თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის საკვალიფიკაციო აღწერილობით და პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), [illegible] იმისათვის რომ პროგრამამ [illegible]

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია წინასწარ დადგინდეს, რომელ ენებს ფლობენ პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტები და შესაბამისი კონსულტაციები და სხვა ყველა საჭირო ინფორმაცია სწავლის დაწყების საწყის ეტაპზე მიეწოდოთ მათ მშობლიურ ენაზე.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

ღირებულ პრაქტიკას წარმოადგენს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა ამავე პროგრამის სტუდენტების კონსულტირების პროცესში ჩართვა - ე.წ. ტუტორინგის პროგრამა.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

| |
|---|
| ○ მნიშვნელოვანი მიღწევები [illegible] პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ ([illegible])<br>○ |
| **შეფასება**<br>○ კომენტარი, შეფასების [illegible] კომპონენტთან შესაბამისობა<br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა |
| მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), [illegible] იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდ[illegible] |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები [illegible] პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ ([illegible])<br>○ |
| **შეფასება**<br>○ კომენტარი, შეფასების [illegible] კომპონენტთან შესაბამისობა |

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | X | | | |

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას

**4.1 ადამიანური რესურსი**

- ➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- ➢ პროგრამის სტუდენტები, ასევე, მათი უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართულია როგორც თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ისე შესაბამისი კვალიფიკაციის
მქონე მოწვეული ლექტორები, მასწავლებლები და მკვლევრები.
პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფი აქტიურად თანამშრომლობს სხვა ანალოგიური
პროგრამის განმახორციელებელ უნივერსიტეტებთან. აღნიშნულს ადასტურებს ის
ფაქტიც, რომ პროგრამის როგორც შემუშავების, ასევე განხორციელების პროცესში
აქტიურად არიან ჩართულები სხვა, მათ შორის რეგიონის უნივერსიტეტების
აკადემიური პერსონალი. მოწვეული პერსონალის სტატუსით მათ ასევე მონაწილეობა
მიიღეს ინტერვიუებში აკრედიტაციის ვიზიტისას. მათთან ინტერვიუებმა დაადასტურეს,
რომ ისინი დეტალურ ინფორმაციას ფლობდნენ პროგრამის შემუშავების ყველა ეტაპის
შესახებ.

აკადემიური პერსონალის პირადი საქმის შესწავლისას დგინდება, რომ მათ აქვთ ქართულ
ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების
გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, პროგრამის პროფილის შესაბამისი
აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება.
პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი/მოწვეული
პერსონალი/მკვლევრი/მასწავლებელი ავსებს სპეციალურ კითხვარს. აღნიშნული
კითხვარი წარმოადგენს პროგრამაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაციის დაკავებულ
თანამდებობასთან შესაბამისობის დადგენის ინსტრუმენტს.

აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ცხადდება კონკურსი. საკონკურსო
პირობები და წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი წინასწარ არის ცნობილი
დაინტერესებული პირებისთვის და საჯაროდ განთავსებულია უნივერსიტეტის
ვებგვერდზე.
ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ მოწვეულ პერსონალს შორის არიან
პრაქტიკული გამოცდილების მქონე მასწავლებლები, რომლთაც აქვთ უშუალოდ
ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის სწავლების
გამოცდილება სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში. აღნიშნული პროგრამის
ფარგლებში, ეს პედაგოგები ჩართულები არიან პროფესიული განვითარების სხვადასხვა
აქტივობებში - ტრენინგები, სემინარები, პროფესიული განვითარების სქემის
ფარგლებში გათვალისინებული აქტივობებში - სამოდელო გაკვეთილის დაგეგმვა,
თვითშეფასება, გარე და შიდა დაკვირვება.
ინტერვიუებიდან მკაფიოდ გამოჩნდა, რომ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს მჭიდრო
კავშირი აქვს სხვა ანალოგიური პროგრამის განმახორციელებელ სხვა უნივერსიტეტების
აკადემიურ პერსონალთან. ხშირად მონაწილეობენ ერთობლივ კონფერენციებში,
დისკუსიებში. მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ინტერვიუს დროს აკადემიურმა და

მოწვეულმა პერსონალმა გამოთქვა სხვა უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის გაღრმავების სურვილი, რაც შეიძლება გამოიხატოს სასწავლო რესურსების გაზიარებით ან ერთობლივი რესირესბის შექმნით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება #118/2014, 22 დეკემბერი „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“;
- თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება #81/2018, 26 თებერვალი „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“;
- თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება #64/2018, 19 თებერვალი „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებით;

**რეკომენდაციები:**

[illegible]

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

[illegible]

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

მოწვეულ პერსონალს შორის არიან პრაქტიკული გამოცდილების მქონე მასწავლებლები, რომლებიც აქვთ უშუალოდ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის სწავლების გამოცდილება სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- [illegible]

**შეფასება**

o [illegible]

**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

| 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება |
|---|
| ➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;<br>➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |
| პროგრამაში ჩართული მოწვეული და აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მაჩვენებლს წარმოადგენს მათი სამეცნიერო საქმიანობა აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, პროფესიული განვითარების ტრენინგებში მონაწილეობა, რომელიც ყოველწლიურად იმართება სხვადასხვა მიმართულებით (კითხვის, წერის, ზეპირმეტყველების სწავლების მეთოდები და სტრატეგიები, ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება, კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება ენის სწავლების პროცესში და სხვა).<br><br>უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მიერ გამოქვეყნებულმა პუბლიკაციებმა ბოლო 5 წლის განმავლობაში 23-ს მიაღწია, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია წინა 5 წლის მაჩვენებელთან შედარებით.<br><br>ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი აქტიურად არიან ჩართულები ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფო ენის სწავლებისადმი მიძღვნილ სხვადასხვა აქტივობებში – კონფერენციები, დარგობრივი მახასიათებლების შემუშავება თუ სხვა პროფესიული შეკრებები. ისინი თანამშრომლობენ ანალოგიური პროგრამის განმახორციელებელ უნივერსიტეტებთან და შესაბამის პერსონალთან, აქვთ მათთან პროფესიული დიალოგი, იზიარებენ გამოცდილებას და ზოგჯერ სასწავლო რესურსებსაც.<br><br>პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს ის, რომ პროგრამაში ჩართულები არიან პრაქტიკოსი მასწავლებლები, რომლებსაც აქვთ ეთნიკური უმცირესობებისთვის ქართული ენის სწავლების გამოცდილება, ჩართულები არიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში და სხვადასხვა ტიპის პროფესიული განვითარების აქტივობებში. |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ტრენინგებისა და კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი სერტიფიკატები;
- პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ები;
- ინტერვიუები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), [illegible] იმისათვის რომ პროგრამაში [illegible]

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

[illegible]

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც [illegible] შეიძლება გახდეს სამიზნე [illegible]

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი [illegible] პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ [illegible]

**შეფასება**

- [illegible] შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

| 4.3 მატერიალური რესურსი |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფილია [illegible] ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა [illegible] პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილი მიმოხილვა და ანალიზი** |
| ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის [illegible] ცენტრალური კორპუსებისგან გამოყოფილია ცალკე სივრცე, [illegible] |

| |
|---|
| მოშორებით მდებარეობს. აღნიშნული კორპუსის დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ აუდიტორიები აღჭურვილია საჭირო ინვენტარით და ტექნიკით - პროექტორი, კომპიუტერი.<br><br>გარდა იმისა, რომ სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა განთავსებულია უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, ერთი ეგზემპლარი ან სახელმძღვანელოების ქსეროასლი ინახება ასევე ქართული ენის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფილ კორპუსში.<br><br>აღნიშნული კორპუსში არის ასევე თავისუფალი სივრცეები სტუდენტური ექსტრაკურიკულარული აქტივობებისთვის.<br><br>ცენტრალური ბიბლიოთეკის ადგილზე დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ ბიბლიოთეკა აღჭურვილია უახლესი ტექნიკით და ინვენტარით, რომელსაც ემსახურება კვალიფიციური პერსონალი. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სხვადასხვა ენაზე შექმნილი პრორაგმის საინფორმაციო ბუკლეტები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>• თსუ ცენტრალური ბიბლიოთეკის და თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი;<br>• მატერიალური ბაზის ადგილზე დათვალიერების შედეგები. |
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება(ები), [illegible] იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს [illegible] |
| რჩევები პროგრამის განვითარებისათვის<br><br>[illegible] |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ [illegible] შეიძლება გახდეს სამაგალითო [illegible] |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ [illegible] პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის [illegible] |
| შეფასება<br><br>○ [illegible] შესაბამისობა |

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა**

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას არ გააჩნია დამოუკიდებელი ბიუჯეტი. პროგრამის ხარჯები გათვალისწინებულია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტში, რაც უნივერსიტეტის მთლიანი ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილია და ეფუძნება მის პრიორიტეტებს. უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ბიუჯეტების მდგრადობა უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას. უნივერსიტეტის გონივრულიფინანსური პოლიტიკა, დივერსიფიცირებული დაფინანსების წყაროები, გამართული ბიუჯეტირების პროცესი და შესაბამისი პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა სუბსიდირებულია უნივერსიტეტის მიერ. პროგრამა უნივერსიტეტის მისიის და მიზნების მიღწევისთვის სტრატეგიულ მნიშვნელობას ატარებს, ამდენად მისი დაფინანსება არ ფერხდება. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თსუ ბიუჯეტი;
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტი;
- თსუ თვითშეფასების ანგარიში

| |
|---|
| • ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:** <br><br> [illegible] |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** <br><br> [illegible] |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** <br><br> o [illegible] შეიძლება გახდეს სამრნე [illegible] |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** <br><br> o [illegible] |
| **შეფასება** <br><br> o [illegible] შესაბამისობა <br><br> X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <br><br> ☐ მეტწილად შესაბამ[illegible] <br><br> ☐ ნაწილობრივ შესაბ[illegible] <br><br> ☐ არ არის შესაბამისობა[illegible] |

პროგრამის სტანდარტთან შესაბა[illegible]

| სტანდარტი | შესაბამისობაში მოთხოვ[illegible] | [illegible] | [illegible]ობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | X | | | |

5. სწავლების ხარისხის გან[illegible]

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგს და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად და განსავითარებლად.

**5.1 შიდა ხარისხის შეფასება**

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომლის მიხედვით ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ყველა სტრუქტურული ერთეული პირდაპირ მონაწილეობს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ანგარიშვალდებულია აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების წინაშე და მის საქმიანობას არეგულირებს სამსახურის დებულება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულია, რომლის ფუნქციებია:

- უნივერსიტეტში სწავლების და კვლევის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა;
- უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება;
- რეკომენდაციების შემუშავება უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო –კვლევითი საქმიანობის სრულყოფის მიზნით;
- ავტორიზაციისა და აკრედიტაციის თვითშეფასების პროცესის ორგანიზება;
- სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა;
- საერთაშორისო თანამშრომლობის და ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციის ხელშეწყობა.

უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეული, სამსახურები, აკადემიური პერსონალი ჩართულია გუნდურ საქმიანობაში და ერთად ახდენს პრობლემის იდენტიფიცირებას, თანხმდება ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტურ მექანიზმებზე და ნერგავს მას.

თსუ ხარისხის შიდა შეფასების სისტემა გულისხმობს ხარისხის შემდეგი ასპექტების უზრუნველყოფას:

- პროგრამის შეფასება წინასწარ შემუშავებული და დამტკიცებული კრიტერიუმების მიხედვით;
- კურსების სილაბუსების შეფასება წინასწარ შემუშავებული და დამტკიცებული კრიტერიუმების მიხედვით

- დაინტერესებული მხარ[illegible] მათი კონსულტირების უზრუნველყოფა;
- პროგრამის თვით[illegible] მომზადების ორგანიზება წინასწარ შეთანხმებული პროცედურ[illegible]

როგორც ვხედავთ, უნივე[illegible] უზრუნ[illegible]ყოფის სამსახურის საქმიანობა ეფუძნება ხარისხის განვ[illegible] [illegible] პე[illegible]ონალთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან ღია თან[illegible]

ფაკულტეტის ხარისხის [illegible] ჩართულია ასევე ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფი[illegible] ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზურნველყოფი[illegible] სამსახურის უფროსი და 4 უფროსი სპეციალისტი.

უნივერსიტეტის აკადემიურ[illegible] და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების დროს დად[illegible] სხვადასხვა საჭიროების კვლევა, რომელთა ანალიზის შედე[illegible] პროგრამაში ცვლილებების განსახორციელებლად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თბილისის სახელმ[illegible] ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ბრძან[illegible]
- ჰუმანიტარულ მეცნ[illegible] [illegible]ით;
- ინტერვიუებით

**რეკომენდაციები:**

[illegible]

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

[illegible]

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)**

- [illegible]

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან ინოვაციები (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- [illegible]

**შეფასება**

○ ცოდნის, შეფასების მეთოდ[illegible] ინსტრუმენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

| 5.2 გარე ხარისხის შეფასება |
|---|
| პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>გარე ხარისხის შეფასების მექანიზმს [illegible] დონეზე წარმოადგენს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის [illegible], იმდენად რამდენადაც პროგრამის მონიტორინგის შიდა მექანიზმი [illegible] გამართულია და პროგრამის აკრედიტაციის შემდეგ რეგულარულად ხდებოდა მისი მოდიფიცირება-გაუმჯობესება, ხელახალი აკრედიტაცია, ამ [illegible] განხორციელებული ცვლილებების ვალიდაციის საშუალებას წარმოადგენს.<br><br>გარდა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესისა, ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამის გარე ხარისხის შეფასება განახორციელა კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრმა (CTC), "[illegible] სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის" (PITA) ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) მიერ. [illegible] გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული პირებისა და ორგანიზაციების [illegible] და შენიშვნები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ თვითშეფასების ანგარიში<br><br>○ ინტერვიუები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>[illegible] |

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| [illegible] |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)** |
| ○ [illegible] რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე [illegible] |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან [illegible] (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| ○ [illegible] პროგრამაში განხორციელდა წინა [illegible] |
| **შეფასება** |
| ○ [illegible] შესაბამისობა<br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 5.3. პროგრამის მონიტორინგი [illegible] შეფასება |
| პროგრამის მონიტორინგი და [illegible] შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული [illegible] დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, [illegible] და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის [illegible], დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები [illegible] პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის [illegible] მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამის მონიტორინგისა და [illegible] ორგანიზებას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური. [illegible] პროგრამის განხორციელებაში ჩართული მხარეები სხვადასხვა [illegible] მოწვეული პერსნალი, სტუდენტები, კურსდამტავრებულები, [illegible] პერსონალი, რომელიც არ მონაწილეობს აღნიშნული პროგრამის [illegible] გაუმჯობესების მიზნით.<br>მონიტორინგის შედეგები [illegible] სილაბუსების შეფასების შიდა უნივერსიტეტს შემუშავებული [illegible], რაც მიამრთულია პროგრამის მექანიზმები და ხესაბამისი [illegible] გაუმჯობესებისაკენ.<br><br>პროგრამის განხორციელების [illegible] შეფასება ხდება შემდეგი რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების [illegible]<br>• პროგრამის მონაწილე [illegible] გამოკითხვის შედეგები; |

- პროგრამის განხორციელებაში [illegible] აკადემიური პერსონალის/მოწვეული
- პროფესორების/მასწავლებლების [illegible] გამოკითხვის შედეგები;
- პროგრამის მონაწილე [illegible] აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი;
- პროგრამის მონაწილე [illegible] სხვა (მაღალი საფეხურის/საბაკალავრო) პროგრამაზე გადასვლის მაჩვენებელი [illegible]
- პროგრამაზე რეგისტრირებული [illegible] სტუდენტებისა და ამავე პროგრამის კურსდამთავრებულთა [illegible]
- პროგრამის კურსდამთავრებულთა [illegible] გამოკითხვის შედეგები;

პროგრამის განხორციელების [illegible] ხდება რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების ურთიერთ[illegible] [illegible] ანალიზის საფუძველზე და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით [illegible] რეკომენდაციები პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

მონიტორინგისა და [illegible] გამოყენებულია ურთიერთდაკვირვება, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა [illegible] გამოკითხვა, ინტერვიურება და სხვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ნაგარიში
- ინტერვიუს შედეგები.
- ხარისხის უზრუნველყოფის [illegible]

რეკომენდაციები:

[illegible]

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

[illegible]

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

- [illegible]

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან [illegible] (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- [illegible]

შეფასება

- [illegible]

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია [illegible]

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მნიშვნელოვანწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | X | | | |

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (აფხაზურენოვანთათვის / აზერბაიჯანულენოვანთათვის / სომხურენოვანთათვის / ოსურენოვანთათვის)

**დასკვნის გვერდების რაოდენობა:**

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | x | | | |
| ლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | x | | | |
| დენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | x | | | |
| ლების რესურსებით უზრუნველყოფა | x | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | x | | | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე:

მიხეილ გიორგაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი:

თინათინ კილურაძე